საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ქ. ყ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.07.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 062/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ჩ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ჩ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 13 ივლისს საჩივრით მომართა, ხოლო 3 აგვისტოს ზეპირი სხდომაში მიიღო მონაწილეობა ქ. ყ.-მა და მოითხოვა ადვოკატ თ. ჩ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის დასაქმებულია შპს „*********“ და დამსაქმებელთან აქვს შრომითი დავა 2021 წლის ივნისიდან. კომპანიის ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი თ. ჩ. საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას ადვოკატ თ. ჩ.-ის მიმართ საჩივრით მომართა 2023 წლის 17

მაისს, აღნიშნულ საქმეზე ეთიკის კომისიის 2023 წლის 12 ივნისის N-- გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამჟამინდელ საჩივარს ურთავს სსიპ „პ. მ. დ. ს.“-ს 07.07.2023 წლის N-- გადაწყვეტილებას, რითაც დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატი თ. ჩ. პირადი ინტერესებისთვის იყენებს შრომით სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში მოპოვებულ მისი პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, ამჟღავნებს მას და ამოძრავებს პირადი მიზანი. ადვოკატი თ. ჩ. არ მოქმედებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. კონკრეტულად, მისი პერსონალური მონაცემები ადვოკატმა თ. ჩ.-მ გაამჟღავნა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში, როდესაც კომისიას მომართა საჩივრით ქ. ყ.-ის წარმომადგენლის, ადვოკატ ს. მ. - ის მიმართ. თავის საჩივარში ადვოკატმა თ. ჩ.-მ მიუთითა ქ. ყ.-ის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი თ. ჩ. 2023 წლის 13 იანვრის განცხადებაში, რომელიც მან წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში უთითებს: „მოგახსენებთ, რომ თქვენს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე N--, მოსარჩელეს წარმოადგენს ქ. ყ. , ხოლო მოპასუხეს შპს „*********“. აღნიშნულ საქმეზე დამატებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას/დოკუმენტაციას, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მოსარჩელე ისევ აგრძელებს წერილობითი მომართვებით ტყუილ და არარსებულ გარემოებების აგებას, რითაც წინასწარი განზრახვით მიზნად ისახავს აბსურდულ საკითხებზე აპელირების გზით, თავად შეთხზას ყველასთვის გაუგონარი ვითომდა პრობლემური საკითხები, წარმოაჩინოს ქ. ყ. დისკრიმინაციისა თუ შევიწროების მსხვერპლად და ამ სტილით შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები. მეტად სამწუხაროა, რომ სათანადოდ ვერ აფასებს მისი მისამართით შპს „*********“ მხრიდან გადადგმულ ჰუმანურ და ლოიალურ ნაბიჯებს და კომპანიას ბრალს უყენებს არარსებული გარემოებებთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც დღემდე უარს აცხადებს კომპანიის მხრიდან არაერთგზის დაორგანიზებულ შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, სამსახურში გამოცხადებას და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ასევე ვერ/არ წარმოადგენს მის მომართვაში მრავალჯერ შეცვლილ და გაზრდილ გარემოებებთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს/ინფორმაციას/დოკუმენტაციას. შპს „*********“ მიერ საახალწლოდ განხორციელდა „მეცამეტე ხელფასის“ ჩარიცხვა. მიუხედავად ამისა სამწუხაროა, რომ კომპანიის არცერთ შეთავაზებას მისი მხრიდან დღემდე არ მოჰყოლია საკითხის კონსტრუქციულ რეჟიმში გადაწყვეტის სურვილი“. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი თ. ჩ. ამ განცხადებით, ლახავს მის როგორც პიროვნულ, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივს, ღირსებას და უხეშად არღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. ჩ.-მ 2023 წლის 20 ივლისს ეთიკის კომისიაში მის მიმართ ქ. ყ.-ის საჩივართან დაკავშირებით წარმოადგინა წერილობითი პოზიცია, ასევე 3 აგვისტოს მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაში, სადაც განმარტა, რომ არ ეთანხმება საჩივარს, რადგან საჩივარში მოყვანილია არასწორი ფაქტები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2023 წლის 12 ივლისს ეთიკის კომისიამ ქ. ყ.-ის საჩივრის საფუძველზე მის მიმართ, მიიღო N-- გადაწყვეტილება, რომლითაც მის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა. აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდება. ადვოკატის განმარტებით, ამჟამად წარმოდგენილი საჩივრით ქ. ყ. ცდილობს ეთიკის კომისიამ წარმოება განაახლოს უკვე განხილულ დისციპლინურ საქმეზე, შესაბამისად, ის ითხოვს საქმეზე შეწყდეს წარმოება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ქ. ყ. ცდილობს კომისიის შეცდომაში შეყვანას, რადგან სსიპ „პ. მ. დ. ს.“-ს თავისი გადაწყვეტილებით არ დაუდგენია, რომ ადვოკატმა თ. ჩ.-მ შელახა ადვოკატ ქ. ყ.-ის პატივი და ღირსება. მან დაიცვა კონფიდენციალურობა და საკუთარი თავის დასაცავად, ეთიკის კომისიის დახურულ და კონფიდენციალურ სხდომაზე წარმოადგინა სრული დოკუმენტაცია, რის უფლებასაც მას აძლევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილი, კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემის წესი. ადვოკატი აქვე განმარტავს, რომ მან დაიცვა მონაცემთა დამუშავების მოცულობა და ეთიკის კომისიას წარმოუდგინა ინფორმაცია იმ ფაქტების ნაწილში, რაც წარმოადგენდა მის ვალდებულებას მტკიცების ტვირთის კუთხით. ადვოკატის პოზიციით, სსიპ „პ. მ. დ. ს.“-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიაჩნია უკანონოდ და ის გასაჩივრებული აქვს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში. მისი ქმედება მიმართული იყო საკუთარი უფლებების დასაცავად. სასამართლოსგან განსხვავებით, ეთიკის კომისიის სხდომები არის დახურული, ხოლო დისციპლინური წარმოების პროცესი არის კონფიდენციალური.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ქ. ყ. საჩივარში საუბრობს ზოგადად და ვერ მიუთითებს, თუ რომელი ქმედება თუ გამონათქვამი ლახავს მის პატივსა და ღირსებას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ქ. ყ. ადვოკატთა ასოციაციის წევრი გახდა ახლახანს და ის კოლეგიალობის კუთხით დავობს იმ დროს განხორციელებული ქმედების მიმართ, როდესაც ადვოკატის სტატუსი არ ჰქონდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ჩ. არის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო.

3.2 ადვოკატმა ქ. ყ. - მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 13 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისათვის მომართვის კანონით დადგენილი 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

3.4 კოლეგიამ არ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის, ადვოკატ ქ. ყ. - ის შუამდგომლობა: სსიპ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისგან დისციპლინური საქმის N-- გამოთხოვის შესახებ; სსიპ „პ. მ. დ. ს.“-დან N-- გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად არსებული წარმოების მასალების გამოთხოვის შესახებ; ადვოკატ თ. ჩ.-ისაგან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ,

რომელიც შეეხება ადვოკატ თ. ჩ. - სა და შპს „*********“ შორის სამართლებრივი კავშირის საფუძვლების შესახებ (მომსახურების ხელშეკრულება, შრომით-სამართლებრივი ხელშეკრულება) და შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურების შემთხვევაში ინფორმაცია აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში პარალელურად კერძო საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისა და შესაბამისად შემოსავლების მიღების დასაშვებობის/შესაძლებლობის შესახებ. კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია არ უკავშირდება ეთიკის კომისიაში განსახილველ საკითხს.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ჩ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ თ. ჩ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. ჩ. - მ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტაციით (2023 წლის 13 იანვრის განცხადება) განახორციელა მისი, როგორც ადვოკატის პატივის, ასევე პირადი და პროფესიული ღირსების შელახვა;

5.2 პროფესიული ვალდებულებები ვრცელდება კომპანიის შიდა იურისტებზეც, რომლებიც შრომითი ურთიერთობის ფარგლებში ახორციელებენ საადვოკატო საქმიანობას, თუ ისინი არიან გაწევრიანებულები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2). ვინაიდან კომპანიის იურისტი, თ. ჩ. არის ადვოკატი, მასზე ვრცელდება პროფესიული ეთიკური ვალდებულებები და თავის მხრივ, უფლებებიც.

5.3 სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, ქ. ყ. ადვოკატია 2022 წლის 7 დეკემბრიდან და მის მიმართ ადვოკატ თ. ჩ.-ს კოლეგიალობის ვალდებულება წარმოეშობა სწორედ ამ თარიღიდან. სადავო განცხადების თარიღია 2023 წლის 13 იანვარი, შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ჩ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე:

5.3.1 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

5.3.2 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

5.4 საადვოკატო საქმიანობის, ფუნქციის შესრულებისას და განხორციელებისას, ადვოკატი ვალდებულია განსაკუთრებული პატივი სცეს კოლეგა ადვოკატებს და არ მიაყენოს პროფესიული საქმიანობის შესრულებისას სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაშიც იგულისხმება ნებისმიერი გამონათქვამი, რაც კოლეგისთვის აღიქმება უპატივცემულოდ. კოლეგია განმარტავს, რომ უპატივცემულობაში არ ითვლება ადვოკატის მიერ ისეთი ქმედება, რომელიც ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესის დაცვას და ჯდება საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ, ტრადიციულ პატივისცემის წესებში.

5.5 ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა ამ უფლებით სარგებლობა არ გულისხმობს მის აბსოლუტურ ხასიათს. გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს რიგ შემთხვევებში. ადვოკატების შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლება უფრო ფართოა, როდესაც ადვოკატი სასამართლოს ან სხვა ორგანოს წინაშე წარმოადგენს კლიენტს, თუმცა უფრო ვიწროა, როდესაც ადვოკატის განცხადება შეეხება სასამართლოს, კოლეგას ან პროცესის მონაწილეს. ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი

5.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ როდესაც საჩივრის ავტორი დავობს ადვოკატის მხრიდან მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, მას ეკისრება მოპასუხე ადვოკატის სადავო ქცევის ფაქტის მტკიცების ტვირთი. საჩივრის ავტორმა, ადვოკატმა ქ. ყ. - მა ეთიკის კომისიას თავისი პრეტენზიის დასადასტურებლად წარმოუდგინა სადავო დოკუმენტი - 2023 წლის 13 იანვრის განცხადება. თავის მხრივ, მოპასუხე ადვოკატს სადავოდ არ გაუხდია მტკიცებულებათა ავთენტურობა, რაც კომისიას აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს დოკუმენტაციის შინაარსი. რადგან საჩივრის ავტორს საჩივარში არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი ფრაზეოლოგია მიაჩნია მას შეურაცხმყოფელად, კომისიამ შეაფასა დოკუმენტაცია სრულად.

*„მოგახსენებთ, რომ თქვენს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე N--, მოსარჩელეს წარმოადგენს ქ. ყ., ხოლო მოპასუხეს შპს „********“. აღნიშნულ საქმეზე დამატებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას/დოკუმენტაციას, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მოსარჩელე ისევ აგრძელებს წერილობითი მომართვებით ტყუილ და არარსებულ გარემოებების აგებას, რითაც წინასწარი განზრახვით მიზნად ისახავს აბსურდულ საკითხებზე აპელირების გზით, თავად შეთხზას ყველასთვის გაუგონარი ვითომდა პრობლემური საკითხები, წარმოაჩინოს ქ. ყ. დისკრიმინაციისა თუ შევიწროების მსხვერპლად და ამ სტილით შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები. მეტად სამწუხაროა, რომ სათანადოდ ვერ აფასებს მისი მისამართით შპს „********“ მხრიდან გადადგმულ ჰუმანურ და ლოიალურ ნაბიჯებს და კომპანიას ბრალს უყენებს არარსებული გარემოებებთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც დღემდე უარს აცხადებს კომპანიის მხრიდან არაერთგზის დაორგანიზებულ შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, სამსახურში გამოცხადებას და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ასევე ვერ/არ წარმოადგენს მის მომართვაში მრავალჯერ შეცვლილ და გაზრდილ გარემოებებთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს/ინფორმაციას/დოკუმენტაციას. შპს „********“ მიერ საახალწლოდ განხორციელდა*

„მეცამეტე ხელფასის“ ჩარიცხვა. მიუხედავად ამისა სამწუხაროა, რომ კომპანიის არცერთ შეთავაზებას მისი მხრიდან დღემდე არ მოჰყოლია საკითხის კონსტრუქციულ რეჟიმში გადაწყვეტის სურვილი“.

5.7 საპროცესო კოლეგიის შეფასებით განცხადებებში არსებული ინფორმაცია, რომელიც მიემართება ქ. ყ.-ს, ძირითადად გამოხატავს ადვოკატ თ. ჩ.-ის შეფასებით მოსაზრებებს საჩივრის ავტორის ქმედებებზე. კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატმა გააჟღერა კლიენტის - შპს „*********“-ს პოზიცია იმ ფორმით, რაც დაცულია აზრის გამოხატვის თავისუფლებით. ამასთან, ადვოკატი სარგებლობს იმუნიტეტით იმ გამონათქვამების მიმართ, რომელიც მან გააკეთა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი შეიცავს დათქმას, რომ: ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ადვოკატს კოლეგისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, ადვოკატი მოქმედებდა ადვოკატის საქმიანობისთვის განკუთვნილ ფარგლებში. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ადვოკატ თ. ჩ. - ს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და მე-10 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული კოლეგის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება.

5.8 საჩივრის ავტორის შემდეგი პრეტენზია ადვოკატ თ. ჩ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. ჩ.-მ ეთიკის კომისიაში მიმდინარე პირადი საქმისწარმოებისას დაარღვია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი - რითაც ადვოკატმა კლიენტის ინტერესზე წინ დააყენა საკუთარი ინტერესი. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ჩ.-ის მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის ფაქტზე:

5.8.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“.

5.9 კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას, ადვოკატი შებოჭილია კანონითა და პროფესიული ქცევის წესებით. კლიენტის წარმომადგენლობისას, ადვოკატს უფლება არ აქვს გააკეთოს არაგონივრული და არაეთიკური განცხადებები. პროფესიის კორპორაციული არსიდან გამომდინარე პროფესიის თვითრეგულირებადი ხასიათი, ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, საკუთარი ქცევით ხელი შეუწყოს პროფესიის პრესტიჟსა და განვითარებას. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატისთვის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთ-ერთი პროფესიის წარმომადგენლისთვის, უპირატესად გასათვალისწინებელია კანონიერებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა. შესაბამისად, ადვოკატმა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებისას - კლიენტის ინტერესების დაცვისას, საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს კანონისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში.

მნიშნელოვანია, რომ ადვოკატმა უზრუნველყოს კლიენტის მხოლოდ კანონიერი ინტერესების, კანონიერი საშუალებებით დაცვა და მიუხედავად ადვოკატის პროფესიის მთავარი მიზნისა, რაც სპეციალური ცოდნის მქონე პირის მხრიდან, კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას გულისხმობს, კლიენტის ინტერესები არ დააყენოს, კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმებზე მაღლა.

5.10 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარმოუდგინოს საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. თავისი პრეტენზიის დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას წარმოუდგინა სსიპ „პ. მ. დ. ს.“-ის 07.07.2023 წლის N გადაწყვეტილება. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, პირის მიმართ პრეტენზიის ბრალდების შემთხვევაში, ფაქტის დადგენისთვის აუცილებელია გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, ხოლო მაშინ, როდესაც საჩივრის ავტორების მიერ განხორციელებული მტკიცება, ვერ აკმაყოფილებს სათანადო მტკიცებით სტანდარტს. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება - სსიპ „პ. მ. დ. ს.“-ის გადაწყვეტილება, რაც ვერ გახდება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

5.11 მხარეთა შორის უდავოა, რომ ადვოკატმა თ. ჩ.-მ ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოებისას, საქმეზე სადაც თავად ჰქონდა პრეტენზია ქ. ყ.-ის მარწმუნებლის მიმართ, კომისიას მოაწოდა გარკვეული ინფორმაცია ქ. ყ. - ის შესახებ. კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების პროცესი კონფიდენციალურია, ხოლო ეთიკის კომისიის სხდომა დახურული (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 35^1-ე მუხლის მე-4 ნაწილი). შესაბამისად, ადვოკატ თ. ჩ.-ის მიერ, საკუთარი ინტერესის დასაცავად, ეთიკის კომისიისათვის ინფორმაციის მოწოდება, არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას, რადგან ეთიკის კომისიის წარმოების მასალები კონფიდენციალურია, სხდომები დახურული და ადვოკატს კონკრეტული ინფორმაციის წარმოდგენა სჭირდებოდა საკუთარი უფლებების დასაცავად. ამასთან, სსიპ „პ. მ. დ. ს.“-ის მიერ 2023 წლის 07 ივლისს მიღებულ N-- გადაწყვეტილებას ეთიკის კომისიისათვის არ აქვს პრეიუდიციული ძალა, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, რომ ადვოკატის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დასტურდება, რომ ადვოკატმა თ. ჩ.-მ დაარღვია კლიენტის ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპი.

5.12 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ თ. ჩ.-ს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და მე-10 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული კოლეგის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30-ე მუხლი მე-2 ნაწილით, მე-40 მუხლის პირველი ნაწილით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №062/23 ადვოკატ თ. ჩ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/